ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 80

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი №416-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს №416-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.277.346 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრო/რაიონის კორპუსი №416-ში, მე-9 სართულზე, 74.95 კვ.მ. ფართის ბინა №17-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.017.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნინო პაპუნაშვილისთვის (პ/ნ 20001056196) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე